გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური**

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

**შპს თბილისის თავისუფალი აკადემია**

შეფასების თარიღი 18-27, 10, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი
25.11.2021

თბილისი
2021

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს თბილისის თავისუფალი აკადემია |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204876991 |
| დაწესებულების სახე | კოლეჯი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (აზერბაიჯანულენოვანთათვის / სომხურენოვანთათვის / აფხაზურენოვანთათვის / ოსურენოვანთათვის). |
| უმაღლესი განათლების საფეხური | - |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | კვალიფიკაცია არ ენიჭება |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 60 (ECTS) კრედიტი |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ ჩოკორაია, კავკასიის უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ხუბულია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა 2021 წელს. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს არაქართულენოვან აბიტურიენტებს საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციასა და სახელმწიფო ენის ათვისებაში. პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი, აფხაზურენოვანი) სკოლა და სურვილი აქვთ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებელში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების MES 7 21 0000981614 (27/09/2021) საფუძველზე, 2021 წლის 18 ოქტომბერს შპს თბილისის თავისუფალ

აკადემიაში შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ ვიზიტი Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემდეგი შემადგენლობით: ნინო პოპიაშვილი, თამარ ჩოკორაია, ნინო ხუბულია.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობა, ჩამოაყალიბა სავარაუდო შეკითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

დისტანციური ვიზიტის დროს, შედგა შეხვედრები შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან,

დასასრულს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

აღსანიშნავია ისიც, რომ დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა მიერ გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში აღნიშნულია, რომ დაწესებულება გეგმავს გაითვალისწინოს გამოთქმული რეკომენდაციები და რჩევები პროგრამის განხორციელების შემთხვევაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

რეკომენდებულია, სწავლის შედეგებში აისახოს ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის მიხედვით ენის ფლობის რომელ საფეხურს ითვალისწინებს პროგრამა. ასევე, სწავლის შედეგებში აისახოს ენის ფლობის ოთხი კომპონენტის (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) კონკრეტული ასპექტები და მახასიათებლები.

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო/არჩევითი დარგობრივი კურსები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების მომზადება დარგბრივი ენის მიხედვით შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის შესაბამისი საბაკალავრო პროგრამების შესაბამისად.

რეკომენდებულია, სილაბუსებში შესასწავლ საკითხებთან/თემებთან ერთად მითითებული იყოს შესაბამისი თემისათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი.

რეკომენდებულია, საგნები: "ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1" და "ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2", გადამუშავდეს და სასწავლო მასალა დაემყაროს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი "ინტერკულტურული კომუნიკაციის განვითარება" ემყარებოდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და სასწავლო რესურსები, ასევე, სასწავლო თემები შერჩეული იყოს აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი "წიგნიერება" ემყარებოდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და სასწავლო რესურსები, ასევე, სასწავლო თემები, შერჩეული იყოს აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი "ელექტრონული რესურსები და მათი გამოყენება" ემყარებოდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და სასწავლო რესურსები, ასევე, სასწავლო თემები, შერჩეული იყოს აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით.

რეკომენდებულია, საგანი "ფუნქციური წერა" გადამუშავდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული საბაკალავრო საფეხურის საგანთან "აკადემიური წერა" დუბლირება.

რეკომენდებულია, საგანი "ფუნქციური წერა" დაემყაროს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და საჭიროებებს, ასევე, სასწავლო თემები შერჩეული იყოს აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსები: "ინტერკულტურული უნარების განვითარება" და "მრავალფეროვნება და ტოლერანტობა" გადამუშავდეს ერთ საგნად, ან მოხდეს ამ საგნებში თემატიკების გამიჯვნა დუბლირების თავიდან ასაცილებლად.

რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგები პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის (ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიმართულებით).

რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელმა დააკმაყოფილოს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კვალიფიკაცია.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასურველია, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ეგიდით გამოცემული ჟურნალის “მომავლის ლიდერი” ერთი ნომერი, ან მუდმივმოქმედი რუბრიკა, დაეთმოს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საკითხებს, გამოწვევებსა და წარმატებულ მაგალითებს.

სასურველია, რომ უფრო მეტად გაიზარდოს და დაიხვეწოს სტუდენთა წახალისების მექანიზმები.

მიზანშეწონილია, გარე შეფასება განხორციელდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, მათ შორის, პროგრამის შინაარსისა და ცალკეული ასპექტების გათვალისწინებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა 2021 წელს. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს არაქართულენოვან აბიტურიენტებს საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციასა და სახელმწიფო ენის ათვისებაში. პროგრამა განკუთვნილია საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც დაამთავრეს არაქართულენოვანი (აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, ოსურენოვანი, აფხაზურენოვანი) სკოლა და სურვილი აქვთ, სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებელში. პროგრამის დეკლარირებული მიზნები შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, რომლის თანახმადაც შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მისიაა სწავლისა და სწავლების, უწყვეტი განათლების, ინდივიდის პროვნული და ჰარმონილი განვითარების ხელშეწყობა; მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამიმსად მაღალკვალიფიციური კადრები. პროგრამის მიზნებია: უზრუნველყოს სტუდენტი ენობრივი კომპეტენციებით (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი), რომელთა საფუძველზეც, შესაძლებელი გახდება, ნებისმიერ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება; მისცეს სტუდენტს იმგვარი ცოდნა, რომ შეძლოს ნებისმიერ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქართულ ენაზე სწავლა - ლექცია / ზეპირი მოხსენების მოსმენა, გაგება/გააზრება, კითხვებზე პასუხის გაცემა, მოცემული დავალების წერითი თუ ზეპირი ფორმით შესრულება, საშინაო დავალების მომზადება და ქართულ ენაზე პრეზენტაცია; ჩამოუყალიბოს სტუდენტს მულტიკულტურათა დაფასებისა და პატივისცემის უნარი და ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოებაში მის სრულფასოვან ინტეგრირებას. |

| |
|---|
| ○ შპს თბილისის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2019 წელს შემუშავებულ „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებთან“, რომელიც 2020 წლიდან შევიდა ძალაში და ასევე „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობასთან“, რომელიც 2020 წელს დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით და რომლის მიზანია ქართული ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების ერთიანი, უნიფიცირებული სისტემის დანერგვა. კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის ფლობის დონეებად დაყოფას და დიფერენცირებულ სწავლებას, ასევე, დარგობრივი მახასიათებლის სხვა მოთხოვნებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ვებგვერდი;<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის მისია;<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა;<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი<br>○ ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** |
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად არის რეალისტური და გაზომვადი. კერძოდ, სტუდენტებისათვის შეთავაზებულია დიფერენცირებული სწავლება, ქართული ენის ფლობის დონეების მიხედვით, ხოლო სწავლის შედეგი უზრუნველყოფილია ინტენსიური სასწავლო კურსების მიხედვით. პროგრამის სწავლის შედეგებში მოიაზრება ის ცოდნა, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია სამი კომპონენტი: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ემყარება დარგობრივ მახასიათებელს და ქართული ენის ფლობის დონეებს. კერძოდ, სწავლის შედეგები მოიცავს ქართული ენის ენობრივ კომპეტენციებს ოთხი კომპონენტის მიხედვით: |

წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი. სწავლის შედეგებში გათვალისწინებულია საბაზო ლექსიკური მარაგი, ქართული ენის სტრუქტურის ელემენტები, როგორებიც არის ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკოლოგიის ზოგადი მახასიათებლები წინადადების ლოგიკურად ჩამოყალიბების მიზნით. ასევე, ტექსტების მოსმენა, გაგება, არგუმეტირებული დასკვნების ჩამოყალიბება, წერის, კითხვის, მოსმენისა და ლაპარაკის სტრატეგიების გაანალიზება. ამასთან, სწავლის შედეგებში მოიაზრება მრავალფეროვანი გარემოს, განსხვავებული კულტურების მიმართ ტოლერანტულობა.

○ დაწესებულება განმარტავს, რომ სწავლის შედეგები არის გაზომვადი და ეს კრიტერიუმი დაემყარება სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაზე დაკვირვებას. კერძოდ, ყოველ სემესტრში მოხდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი გაუსის სკალის მიხედვით. ასევე, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის შემუშავდება სასწავლო კურსებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების ინდივიდუალური კითხვარები მათ მშობლიურ ენაზე პირველ სემესტრში, ხოლო მეორე სემესტრში ქართულ ენაზე. აღნიშნული სტრატეგია ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას.

○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა იცნობს და ემყარება ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას, თუმცა სწავლის შედეგებში ქართული ენის ფლობის დონეები სრულფასოვნად არ არის ასახული. კერძოდ, არ ჩანს ზუსტად, სწავლის შედეგები ქართული ენის ფლობის დონეების რომელ საფეხურზე არის გათვალისწინებული, ასევე, სწავლის შედეგებში არ ჩანს ენის ფლობის ოთხი კომპონენტის: წერის, მოსმენის, კითხვისა და ლაპარაკის კონკრეტული ასპექტები ენის ფლობის დონეების მიხედვით. პროგრამას თითოეული სწავლის შედეგისათვის გააჩნია სამიზნე ნიშნული, რაც ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში ცალკეული სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების მიხედვით. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, არის რეალისტური.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ვებგვერდი;

| |
|---|
| ○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი;<br><br>○ ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა;<br><br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>რეკომენდებულია, სწავლის შედეგებში აისახოს ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის მიხედვით ენის ფლობის რომელ საფეხურს ითვალისწინებს პროგრამა. ასევე, სწავლის შედეგებში აისახოს ენის ფლობის ოთხი კომპონენტის (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი) კონკრეტული ასპექტები და მახასიათებლები. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ემყარება მოქმედ კანონმდებლობას, არის გამჭვირვალე და აკრედიტაციის გავლის შემდეგ იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისათვის, გამოქვეყნდება დაწესებულების ვებგვერდზე. |

| |
|---|
| ○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობები უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებში მშობლიურ ენაზე (აფხაზურად / აზერბაიჯანულად / სომხურად / ოსურად) ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა. შპს თბილისის თავისუფალ აკადემიას, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პრორგამის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად, შემუშვებული აქვს ქართული ენის ფლობის დონეების მიხედვით დაყოფილი ორდონიანი სწავლება. სულ განსაზღვრულია ორი ენობრივი ჯგუფი, რომელთა შერჩევა ხორციელდება პირველი სემესტრის დასაწყისში გავლილი პრეტესტის შედეგების საფუძველზე.<br>○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;<br><br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ვებგვერდი;<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი;<br><br>○ ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა;<br><br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 60 კრედიტისაგან. სულ პროგრამაში 19 სასწავლო კურსია, რომლებიც დაყოფილია სავალდებულო და არჩევით კურსებად. სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსების მოცულობა 55 კრედიტია, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსი 5 კრედიტი. სწავლების პირველ სემესტრში პრეტესტის საფუძველზე, ენის ფლობის დონეების გათვალისწინებით, სტუდენტები იყოფიან A და B ჯგუფებად/ბლოკებად. A ბლოკის ჯგუფი შეადგენს ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობის მიხედვით A1-A2 დონეს, ხოლო B ბლოკი შეადგენს B1-B2 დონეს. A ბლოკზე სწავლება ხორციელდება საკონტაქტო საათების დამატებით. კურსი ინტენსიური სწავლების სტრატეგიითაა აგებული და უზრუნველყოფს ამ ბლოკის სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციების დაახლოებას მეორე ბლოკის სტუდენტთა კომპეტენციებთან პირველი სემესტრის ბოლოს. შესაბამისად, საერთო საგნები პირველ სემესტრში: ქართული ენის

| |
|---|
| სამეტყველო უნარები (წერა); ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა); ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა); ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი) ისწავლება ორ ნაწილად, ხოლო ორი საგანი: ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1 და ენის კომუნიკაციური ასპექტები ისწავლება ერთი და იმავე პროგრამით. მეორე სემესტრში გათვალისწინებულია შემდეგი სავალდებულო საგნები: ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2; ორთოგრაფია და ორთოეპია; ფუნქციური წერა; წიგნიერება; ინტერკულტურული უნარების განვითარება. არჩევითი სასწავლო კურსებია: კომუნიკაციის სტრატეგიები, ელექტრონული რესურსები და მათი გამოყენება; ტექსტზე მუშაობის მეთოდები; მრავალფეროვნება და ტოლერანტობა.<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით მიზანშეწონილია, სტუდენტები მეორე სემესტრში დარგობრივი მიმართულებების მიხედვით იყვნენ განაწილებულნი, რათა შეიძინონ ენობრივი კომპეტენციები/სამეტყველო უნარები, ლექსიკა და ტერმინოლოგია, რომელსაც ირჩევენ სტუდენტები უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურზე. შესაბამისად, რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო/არჩევითი სასწავლო კურსები, რომელიც უზრუნველყოფს დარგობრივი ენის კომპეტენციების გაღრმავებას.<br>○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ვებგვერდი;<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი;<br>○ ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |

რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო/არჩევითი დარგობრივი კურსები, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების მომზადება დარგბრივი ენის მიხედვით შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის შესაბამისი საბაკალავრო პროგრამების შესაბამისად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს თბილისის თავისუფალ აკადემიას ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული აქვს შემდეგი სასწავლო კურსები:

○ პირველ სემესტრში:

○ ქართული ენის სამეტყველო უნარები (წერა);

○ ქართული ენის სამეტყველო უნარები (მოსმენა);

- ქართული ენის სამეტყველო უნარები (კითხვა);
- ქართული ენის სამეტყველო უნარები (ლაპარაკი)
- ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1
- ენის კომუნიკაციური ასპექტები
- მეორე სემესტრში გათვალისწინებულია შემდეგი სავალდებულო საგნები:
- ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2;
- ორთოგრაფია და ორთოეპია;
- ფუნქციური წერა;
- წიგნიერება;
- ინტერკულტურული უნარების განვითარება.
- არჩევითი სასწავლო კურსებია:
- კომუნიკაციის სტრატეგიები;
- ელექტრონული რესურსები და მათი გამოყენება;
- ტექსტზე მუშაობის მეთოდები;
- მრავალფეროვნება და ტოლერანტობა.

წარმოდგენილ სასწავლო კურსებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

- სილაბუსებში, სასწავლო თემების ჩამონათვალში არ არის მითითებული სასწავლო მასალა.
- სასწავლო კურსების ნაწილში წარმოდგენილი სასწავლო რესურსები სცილდება ქართულის, როგორც მეორე ენის საგანმანათლებო პროგრამის მიზნებს, ასევე, ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი მახასიათებლის მიერ დადგენილ ენობრივ ჩარჩოებს. მაგალითად: სავალდებულო საგნის “ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1” და “ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2” დამხმარე სახელმძღვანელოებად დასახელებულია წიგნები, რომლებიც აღემატება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ენობრივ კომპეტენციებს. ასევე, საგნის “ფუნქციური წერა” სავალდებულო ლიტერატურაში დასახელებულია წიგნები, რომლებიც განსაზღვრულია საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისათვის. ამ წიგნების ენობრივი კომპეტენციები აღემატება ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების ენობრივ კომპეტენციებს. სავალდებულო სასწავლო კურსებში “ინტერკულტურული უნარების განვითარება” და “წიგნიერება”, ასევე არჩევით სასწავლო კურსში “ელექტრონული რესურსები და მათი გამოყენება” მითითებულია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, თუმცა არ არის მითითებული

| |
|---|
| კურსზე დაშვების წინაპირობებში ინგლისური ენის ცოდნა. ამასთან, ინგლისური ენის ცოდნის ვალდებულება არ წარმოადგენს პროგრამის დარგობრივი მახასიათებლის წინაპირობას. სავალდებულოა, სასწავლო კურსები ისე იყოს შედგენილი, რომ არ საჭიროებდეს დამატებით წინაპირობებს სხვა ენებში.<br>○ სასწავლო კურსების ნაწილში შეინიშნება თემებისა და საკითხების დუბლირება საბაკალავრო საგნებთან. მაგალითად, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო საგანი, “ფუნქციური წერა” და საბალაკავრო საფეხურის სავალდებულო საგანი, “აკადემიური წერა” შეიცავს ერთსა და იმავე სასწავლო რესურსებს, სახელმძღვანელოებს და თემატიკაც მეორდება. ასევე, შეინიშნება სავალდებულო საგნის, “ინტერკულტურული უნარების განვითარება” და არჩევითი საგნის, “მრავალფეროვნება და ტოლერანტობა” თემატიკათა ნაწილობრივი გადაფარვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე სასწავლო კურსი ემსახურება დარგობრივი მახასიათებლის ერთსა და იმავე მიზანს: ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას.<br>○<br>○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;<br><br>○ სილაბუსები;<br><br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ვებგვერდი;<br><br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი;<br><br>○ ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა;<br><br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>რეკომენდებულია, სილაბუსებში შესასწავლ საკითხებთან/თემებთან ერთად მითითებული იყოს შესაბამისი თემისათვის განკუთვნილი სასწავლო რესურსი. |

რეკომენდებულია, საგნები: “ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 1” და “ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა 2” გადამუშავდეს და სასწავლო მასალა დაემყაროს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი “ინტერკულტურული კომუნიკაციის განვითარება” ემყარებოდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და სასწავლო რესურსები, ასევე, სასწავლო თემები შერჩეული იყოს აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი “წიგნიერება” ემყარებოდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და სასწავლო რესურსები, ასევე, სასწავლო თემები შერჩეული იყოს აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსი “ელექტრონული რესურსები და მათი გამოყენება” ემყარებოდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და სასწავლო რესურსები, ასევე, სასწავლო თემები შერჩეული იყოს აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით.

რეკომენდებულია, საგანი “ფუნქციური წერა” გადამუშავდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული საბაკალავრო საფეხურის საგანთან “აკადემიური წერა” დუბლირება.

რეკომენდებულია, საგანი “ფუნქციური წერა” დაემყაროს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებსა და საჭიროებებს, ასევე, სასწავლო თემები შერჩეული იყოს აღნიშნული სპეციფიკის მიხედვით.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსები: “ინტერკულტურული უნარების განვითარება” და “მრავალფეროვნება და ტოლერანტობა” გადამუშავდეს ერთ საგნად, ან მოხდეს ამ საგნებში თემატიკების გამიჯვნა დუბლირების თავიდან ასაცილებლად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში კომპონენტების შინაარსი და სწავლების მეთოდები კრედიტების შესაბამისი გაანგარიშების მიხედვით უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევადობას. კრედიტების გაანგარიშების დროს გათვალისწინებულია საგნის სპეციფიკა, ასევე, გათვალისწინებულია დარგობრივი მახასიათებელი და დონეებად სწავლების ასპექტები, რაც გულისხმობს სხვადასხვა ბლოკის სტუდენტებისათვის ინტენსიური სწავლების ასპექტებს.

○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემია ხელს უწყობს სტუდენტების ჩართვას სასწვალო და კვლევით აქტივობებში. აღსანიშნავია დაწესებულებისა და ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის ერთობლივი გამოცემა “მომავლის ლიდერი”, სულ გამოცემულია 11 ნომერი, პერიოდულობა: 2 თვეში ერთი ნომერი. ჟურნალში იბეჭდება თემები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. სასურველია, ჟურნალის ერთი ნომერი, ან მუდმივმოქმედი რუბრიკა დაეთმოს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საკითხებს, გამოწვევებსა და წარმატებულ მაგალითებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;

○ სილაბუსები;

| |
|---|
| ○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ვებგვერდი;<br>○ ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის ჟურნალი „მომავლის ლიდერი“;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ სასურველია, შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ეგიდით გამომავალი ჟურნალის “მომავლის ლიდერი” ერთი ნომერი, ან მუდმივმოქმედი რუბრიკა დაეთმოს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების საკითხებს, გამოწვევებსა და წარმატებულ მაგალითებს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

| |
|---|
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტებისათვის გამოიყენება მრავალფეროვანი სწავლა/სწავლების მეთოდები, რომლებიც არის ადეკვატური და შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსთან და მიზნებთან.<br>○ მეთოდებს შორის დასახელებულია ლექციისა და სემინარის მეთოდი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა საგანი პრაქტიკულ მუშაობას გულისხმობს, სალექციო მუშაობის მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას ცალკეული საკითხების თეორიული და პრაქტიკული დამუშავებისათვის. მეთოდების აღწერის დროს მითითეულია, რომ სალექციო მუშაობა მიმდინარეობს ინტერაქციული ფორმატით, გათვალისწინებულია პრაქტიკული დავალებები, მათ შორის, პრეზენტაციების მომზადება, სხვადასხვა მეთოდით მუშაობა, ინდივიდუალური და ჯგუფური ჩართულობა, ასევე, დისკუსია-დებატების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზის მეთოდი, სინთეზის მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, მაგალითის გენერირება, შემთხვევის შესწავლის მეთოდი, სიტუაციური იმიტაციის მეთოდი, როლური თამაშის მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი და სხვ. აღნიშნული მეთოდები შეესაბამება მეორე ეის სწავლებას. ასევე, აღნიშნულ მეთოდები მორგებულია სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებას მეორე ენის სწავლების პირობებში.<br>○ თითოეულ სასწავლო კურსში გამოიყენება მეთოდთა გარკვეული კომბინაცია, რაც გამოწვეულია სასწავლო კურსის თემატიკიდან და სპეციფიკიდან. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ვებგვერდი;<br>○ სილაბუსები;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| ## 2.6. სტუდენტების შეფასება |
|---|
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების შეფასება შესაბამისია მოქმედ კანონმდებბლობასთან, არის გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი. შეფასებები არის მრავალკომპონენტიანი და მორგებულია სასწავლო პროგრამისა და სასწავლო საგნის საჭიროებებს. ცალკეულ სასწავლო კურსებში შეფასებები ურთიერთგანსხვავებულია, რაც კურსების სპეციფიკიდან და საჭიროებებიდან გამომდინარეობს. |

○ შპს თბილისის თავისუფალ აკადემიაში მოქმედებს შეფასების შემდეგი ინდექსური სისტემა და მაჩვენებლები:

○ **დადებითი შეფასებები:**

○ (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების– 91% და მეტი;

○ (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

○ (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

○ (D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70%;

○ (E) საკმარისი – -მაქსიმალური შეფასების 51-60 %;

○ **უარყოფითი შეფასებები:**

○ (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%;

○ (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები;

○ სტუდენტს უფლება აქვს ერთი და იგივე სასწავლო კურსი გაიაროს რამდენჯერმე.

○ თითოეულ სასწავლო კურსში გამოყენებულია შეფასების ის ფორმები, მეთოდები და კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გაზომვას და დაფუძნებულია ობიექტურობის, ვალიდურობის და გამჭვირვალობის პრინციპზე. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია განსხვავებული იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, შეფასების ფორმების სტატუსი და ა.შ. არსებულ საგანმანათლებლო პროგრამაშიც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, როგორც შეფასების ფორმის, ასევე ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით შეესატყვისება დაგეგმილი სწავლის შედეგის მიღწევას. პროგრამაში შეფასება მრავალკომპონენტიანია და სპეციფიკები ჩაშლილია კონკრეტულ სილაბუსებში.

○ სტუდენტი კრედიტის მისანიჭებლად ვალდებულია გადალახოს სასწავლო კურსის სილაბუსით შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. თუ სტუდენტი ვერ გადალახავს აკადემიაში დამტკიცებული სასწავლო კურსით განსაზღვრულ შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში

| |
|---|
| დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, მას გაუფორმდება შეფასება "F", რაც ითვალისწინებს აღნიშნული სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლას. დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში; დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც გადალახა შუალედური შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. FX შეფასების და/ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასევე მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში, დასკვნითი  გამოცდიდან არა ნაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებად; დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგამნანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - ქულა.<br><br>○ ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ ლექტორები სასწავლო სემესტრის დასაწყისში აცნობენ სტუდენტებს სილაბუსს და შეფასების სისტემას შეფასების სისტემა ასევე მოცემულია ელექტრონულ ბაზაში. ასევე, დაწესებულება აცხადებს, რომ შეფასების ფორმების, მეთოდების, კომპონენტების და სხვა შინაარსობრივი ნაწილის შესაფასებლად იღებენ უკუკავშირს სტუდენტებისაგან მათი გამოკითხვის გზით. აღნიშნული მონაცემები მუშავდება როგორც სკოლის ფორმატში, ასევე ინდივიდუალურად და ისახება გზები შეფასების გაუმჯობესებისათვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა;<br><br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ვებგვერდი;<br><br>○ სილაბუსები;<br><br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>შპს - თბილისის თავისუფალი აკადემიის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშზე, სხვა დოკუმენტაციასა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ სასწავლო პროგრამის ორგანიზებისთვის დაწესებულებაში შექმნილია სათანადო პირობები. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმების თაობაზე, ამასთან, კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.<br><br>შპს - თბილისის თავისუფალი აკადემიის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია აკადემიაში ჩარიცხვის, სწავლის, წამახალისებელი ღონისძიებებისა და იქ არსებული სასწავლო გარემოს შესახებ, აგრეთვე მარეგულირებელი დოკუმენტები და ინსტრუქციები, რომლებიც სტუდენტებს დაეხმარება სხვადასხვა აქტივობის განხორციელებაში, სწავლის დამოუკიდებლად ორგანიზებასა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში.<br><br>კომუნიკაციისა და ინფორმაციის თვალსაჩინოების უზრუნველსაყოფად აკადემიაში მოქმედებს "სასწავლო პროცესის მართვის სისტემა", საიდანაც სტუდენტს სემესტრის დაწყებამდე აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების ჩამონათვალს და გააკეთოს სასურველი არჩევანი. ამასთან, პროგრამა |

უზრუნველყოფს შეუფერხებელ ინტერაქციას სტუდენტებსა და ადმინისტრაციას, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა შორის. აღნიშნული სისტემის მეშვეობით სტუდენტს შეუძლია გააკონტროლოს მისი აკადემიური მოსწრება, წვდომა ჰქონდეს მის სასწავლო ბარათზე, აირჩიოს საგნები და შეაფასოს საგანმანათლებლო პროგრამა და მასში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალი და ა.შ.

“ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზარზე არსებულ საჭიროებებზე. აკადემია აქტიურად ცდილობს შესთავაზოს სამუშაო ადგილები სტუდენტებს, ამასთან, გარკვეული პერიოდულობით ტარდება დასაქმების ფორუმები, სხვადასხვა შეხვედრები შრომით ბაზარზე მიმდინარე მოვლენების და პერსპექტივების სტუდენტებისთვის გაცნობის მიზნით. სტუდენტების ინფორმირება ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, მათ შორის: ელ. ფოსტის, პირადი კომუნიკაციისა და სოც. ქსელების მეშვეობით. აკადემიაში ფუნქციონირებს სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დახმარებისა და კარიერული განვითარების ცენტრი.

მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტების შინაარსიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს საკონსულტაციო მომსახურებას, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებასა და სწავლის უკეთესი შედეგების მიღწევას. თბილისის თავისუფალ აკადემიაში კონსულტაციები ტარდება სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის, სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, კარიერული წინსვლისა და სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტში მონაწილეობის შესახებ. რაც შეეხება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული თუ დამხმარე პერსონალის დატვირთვას, აკადემიაში გამოყოფილია საათები სტუდენტთა კონსულტაციებისათვის და ამგვარი ინდივიდუალური კონსულტაციები იმართება ლექტორთან შეთანხმებით, დაგეგმილი განრიგის მიხედვით, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, შესაძლებელია სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისადაც დაიგეგმოს შეხვედრა.

აღსანიშნავია, აკადემიაში მოქმედი წახალისების სისტემები, რომელიც მოიაზრებს სტუდენტური სოციალური და კვლევითი პროექტების მხარდაჭერას, კონფერენციების

| |
|---|
| ორგანიზებას, დაფინანსებას, უნივერსიტეტთაშორის კონფერენციაში სტუდენტთა წარგზავნის უზრუნველყოფას, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებზე ზრუნვას და ხელშეწყობას, პარტნიორი უნივერსიტეტებიდან საჯარო ლექციების მხარდაჭერას, საბიბლიოთეკო რესურსის განვითარებას და ხელმისაწვდომობის გაზრდას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და ა.შ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>● შპს - თბილისის თავისუფალი აკადემიის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;<br>● შპს - თბილისის თავისუფალი აკადემიის "ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამა (სენატის დადგენილება N18)<br>● აკადემიის ვებგვერდი;<br>● სასწავლო საგნების სილაბუსები;<br>● ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>● სასურველია, მეტი შესაძლებლობა მიეცეთ სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტში, ღონისძიებაში, კონფერენციასა და კვლევაში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** |

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

| |
|---|
| ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსი |
|---|
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| ○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 2 აკადემიური აფილირებული პროფესორი (ასისტენტ-პროფესორი და პროფესორი) და 6 მოწვეული პროფესორი. პროგრამის განმახორციელებელ პირებს გააჩნიათ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენცია. მოწვეული პერსონალის დიდ ნაწილში დასტურდება ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პრაქტიკული გამოცდილება.<br>○ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი ფილოლოგიაში, ასევე, არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური პერსონალი. პროგრამის ხელმძღვანელის შემთხვევაში ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების პრაქტიკული გამოცდილება და შესაბამისი მიმართულებით კვლევითი პუბლიკაციები არ დასტურდება. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაცია. კერძოდ, უნდა დასტურდებოდეს ფილოლოგიის დარგის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით, სპეციალური მომზადებით და/ან პუბლიკაციებით.<br>○ პროგრამაში გონივრულად არის განსაზღვრული სტუდენტებთან სამუშაო საათები ენობრივ კომპეტენციათა დონეების გათვალისწინებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების სათანადოდ მიღწევას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.<br>○ სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმეები;<br>○ პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრება;<br>○ გასაუბრება რექტორთან, ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან, დეკანთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან;<br>○ პროგრამის სილაბუსები. |
| **რეკომენდაციები:** |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები<br><br>რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი ტრენინგები პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის (ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მიმართულებით).<br><br>რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელმა დააკმაყოფილოს დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული კვალიფიკაცია. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
| --- |
| ○ შპს თავისუფალ აკადემიას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის, მექანიზმებისა და მათი შეფასების სისტემის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასების წესი. კერძოდ, მოწვეული და აკადემიური პერსონალი ფასდება დეკანისა და პროგრამის ხელმძღვანელი მიერ. ასევე ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა კითხვარების დახმარებით. ხოლო აკადემიური პერსონალი ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ. დაწესებულებაში ასევე დამკვიდრებულია ლექციებზედ დასწრებისა და შეფასების პრაქტიკა.<br>○ დაწესებულება ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ამისათვის სისტემატურად ატარებს ტრენინგებსა და ვორქშოპებს (მათ შორის: სამეცნიერო პუბლიკაციის, პლაგიატის და ა.შ.). ასევე ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში განსაზღვრულია ტრენინგების დაფინანსების ხარჯი. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის პერსონალის განვითარების ღონისძიებები - დანართი #10;<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ხარისხის მართვის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა;<br>○ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ვებგვერდი;<br>○ ინტერვიუ დაწესებულების მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან, რექტორთან, ხარისხის სამსახურის უფროსთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის შედეგების მისაღწევად სასწავლო დაწესებულებას აქვს მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები; ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობა და ა. შ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო წიგნადი ფონდი. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც საშუალებას აძლევს მათ გაეცნონ შესაბამისი მიმართულების/დარგის უახლეს სამეცნიერო მონაცემებს. სტუდენტებსს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკის ვებგვერდზე არსებული ელექტრონული კატალოგითა და სახელმძღვანელოებით. მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სტუდენტებს აქვთ წვდომა შესაბამის რესურსებზე და მოხმარების წესებზე. დაწესებულების პოზიციის შესაამისად, სააკრედიტაციოდ

| |
|---|
| წარმოდგენილი პროგრამის ამოქმედების შემდეგ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებსაც ექნებათ შესაძლებლობა, გამოიყენონ არსებული რესურსები. ქართულ ენაში სტუდენტთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br>○ გასაუბრება დაწესებულების ბიბლიოთეკის თანამშრომელთან;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ გასაუბრების შედეგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ბიბლიოთეკის თანამშრომელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.<br>○ შპს თავისუფალი აკადემიის ვებგვერდი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯებში გათვალისწინებულია პერსონალის შრომის ანაზღაურება და წლის განმავლობაში პროგრამის განვითარებისათვის გასაწევი ინფრასტრუქტურული და ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ხარჯი. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

○ შპს თავისუფალი აკადემიის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ბიუჯეტი;

○ შპს თავისუფალი აკადემიის საბიბლიოთეკო და ტექნიკურ-მატერიალური რესურსი;

○ შპს თავისუფალი აკადემიის ვებგვერდი;

○ შპს თავისუფალი აკადემიის ბიბლიოთეკის თანამშრომელთან გასაუბრება.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

| |
|---|
| ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხის შეფასება |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |

| სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი |
|---|
| ○ პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს შპს თავისუფალი აკადემიის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართული პერსონალი იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.<br>○ აკადემიაში მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეხმარება მისიის, მიზნებისა და ამოცანების შესრულებაში; სისტემა უზრუნველყოფს დაწესებულების სასწავლო, სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას, აგრეთვე, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს და შედეგების ანალიზს საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით.<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობდა როგორც პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალი, ისე ადმინისტრაციული პერსონალი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ შპს თავისუფალი აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა;<br><br>○ დაწესებულების ხარისხის მართვის პოლიტიკა;<br><br>○ პროფესორ - მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები;<br><br>○ პროფესორ - მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები - დანართი N11;<br><br>○ ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი - დანართი N4;<br><br>○ ელექტრონული სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები - დანართი N4;<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები - დანართი N4;<br><br>○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება - დანართი N4. |
| რეკომენდაციები: |

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **5.2 გარე ხარისხის შეფასება** |
| პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება აკრედიტაციის გზით ჯერ არ განხორციელებულა, რადგან პროგრამა ახალია. პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა წარმოადგინეს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლების კოლეგიური შეფასებები. მნიშვნელოვანია, გარე შეფასება განხორციელდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, პროგრამის შინაარსის, ცალკეული ასპექტების გათვალისწინებით. |

| |
|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით<br><br>○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა - დანართი N4;<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია - დანართი N3;<br><br>○ კოლეგიალური შეფასება. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>მიზანშეწონილია, გარე შეფასება განხორციელდეს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის, მათ შორის, პროგრამის შინაარსისა და ცალკეული ასპექტების გათვალისწინებით. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

○ შპს თბილისის თავისუფალ აკადემიაში პერიოდულად ფასდება სასწავლო პროგრამა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, დაინტერესებული პირების და სტუდენტების ჩართულობით. კითხვარებისა და ინტერვიუების შედეგებს სწავლობს ხარისხის სამსახური და შესაბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებს.

○ ხარსიხის სამსახური ყოველ სემესტრში აფასებს სასწავლო კურსების სილაბუსებს, დაწესებულებაში ასევე არსებობს ლექციებზე დასწრების პრაქტიკაც. ხარისხის სამსახური შესაბამის რეკომენდაციებს გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც მუშაობს არსებულ ხარვეზებზე.

○ პროგრამების განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. სტუდენტი სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აღმოჩენილი პრობლემების მოგვარებისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას იღებს ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისაგან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი შეფასების სისტემა - დანართი N4;

○ პროფესორ - მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის სპეციალური ფორმები;

○ პროფესორ - მასწავლებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები - დანართი N11;

○ ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი - დანართი N4;

| |
|---|
| ○ ელექტრონული სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები - დანართი N4;<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები - დანართი N4;<br><br>○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის დებულება - დანართი N4;<br><br>○ ხარისხის მართვის პოლიტიკა - დანართი N4. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს თბილისის თავისუფალი აკადემია

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 45

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | X | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | X | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | X | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | | X | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო პოპიაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თამარ ჩოკორაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ხუბულია